ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1122160

ნომერი: AR1193411

თარიღი : 29.01.2014

გაცემის თარიღი : 18.02.2014

გაცნობის თარიღი : 18.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ილია ვეკუა , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ჯაფარიძე პ/ნ 01007000646
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 79 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.01.2014წ. #1093741 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 01.29.2014წ. #AR1193411 განცხადებით

მომართა მოქ. ზაზა ჯაფარიძემ და მოითხოვა სამსახურის 24.01.2014წ. #1093741 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, შპს „მედკაპიტალის“ საკუთრებაში არსებული ფართის (საკ. კოდი 01.11.12.013.014.01.506) მისამართად თბილისი, სექტორი–გლდანი, გამარჯვების ქუჩა #1–ის ნაცვლად ქალაქი თბილისი, ქუჩა ილია ვეკუა, #18–ის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.01.2014 #1093741 გადაწყვეტილებაში შპს „მედკაპიტალის“ საკუთრებაში არსებული ფართის (საკ. კოდი 01.11.12.013.014.01.506) მისამართად მითითებულია თბილისი, სექტორი–გლდანი, გამარჯვების ქუჩა #1, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერით (მომზადების თარიღი 17/01/2014 19:23:46) დასტურდება, რომ 17/01/2014წ. განხორციელებული ცვლილების შედეგად, შპს „მედკაპიტალის“ (ს.კ. 205218030) კუთვნილი ფართის (საკ. კოდი 01.11.12.013.014.01.506) იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ქუჩა ილია ვეკუა, #18.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ზაზა ჯაფარიძის 01.29.2014წ. #AR1193411 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის 24.01.2014 #1093741 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შპს „მედკაპიტალის“ საკუთრებაში არსებული ფართის (საკ. კოდი 01.11.12.013.014.01.506) მისამართად, თბილისი, სექტორი–გლდანი, გამარჯვების ქუჩა #1–ის ნაცვლად, დაფიქსირდეს ქალაქი თბილისი, ქუჩა ილია ვეკუა, #18.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.01.2014 #1093741 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.